№ 28
ორშაბათი 4 თებერვალი 1902 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

53
ტფილისი

№ 28
ორშაბათი 4 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.
ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათს, 5 თებერვალს, მეორმოცე დღეს შემდეგ გარდაცვალებისა
უგანათლებულესის თავადის

გრიგოლ ლევანის ძის დადიანისა

მარტვილის მონასტერში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. ამაზე ეცნობების ყოველთა განსვენებულის პატივის-მცემელთა. (2—6.—1)

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.
ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—24).

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.
(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საყოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ბ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ნახვა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფიდლროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

ტფილისი. თებერვლის 4-ს.

ტელეგრაფმა გვაცნობა, რომ ქ. შემახას დიდი უბედურება სწვევია: იანვრის 31-ს, ნაშუადღევის 1-ს საათზედ, მიწის ძვრას თითქმის მთელი ქალაქი დაუნგრევია. ჯერ სრული ცნობები არ მოგვსვლია და ამიტომ ამ უბედურობის ნამდვილის სურათის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ რაც ეხლა ვიცით, ისიც კმარა ამ უზომო უბედურობის გასაგებად: აქამდის ორასამდე მიცვალებული ამოუღიათ დანგრეულ შენობებიდგან და კიდევ რამდენისამე ასის გვამი არის ნანგრევებ ქვეშ მოყოლებულიო.

ყველა, ვისაც-კი გაქვავებული გული არა აქვს, ადვილად წარმოიდგენს, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ამ უბედურებით თავზარ დაცემულნი შემახელები. მთელის ქონების დაკარგვას, მრავალს მათგანს მშობლებისა და ნათესავების დაკარგვაც ზედ დაერთო.

ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უბედურებს, სულით და გულით აღელვებულ ხალხს, ხვალინდელი დღეც საზრუნველი აქვს, მრავალნი მათგანნი ხვალინდელს ლუკმასაც მოკლებულნი არიან, და მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება, რა დიდი ვალი გვედება ჩვენ ყველას, ვისაც ბედმა გვაშორა ეს განსაცდელი.

აშკარაა, რომ შველა არის საჭირო, სწრაფი და გულუხვი შველა, რომელიც დაჩაგრულის გულისთვის დიდი ნუგეშის მცემელია; შველა, რომელიც უპირველესი ვალია ადამიანისთვის, რადგანაც მხოლოდ მასა აქვს ზენაიდგან ჩანერგილი შებრალება და გონივრული დახმარება უბედურის მოყვასისა.

სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-გრილი არ დარჩება ამ შემთხვევაში; გვჯერა, რომ ქართველი საზოგადოება, გულ კეთილობით და კაცთმოყვარეობით გატაცებული, თავისს წვლილს არ მოაკლებს მიწის ძვრისაგან დაზიანებულ შემახელებს. გვახსოვდეს, რომ ყოველს შეწევნას, რაც უნდა მცირე იყოს, დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან და დიდის მადლობით იქნება მიღებული; ამიტომ შემოწირულების სიმცირე ნურავის ნუ დააბრკოლებს.

რედაქცია თავისს მხრივ დიდის სიამოვნებით იკისრებს ამ შემთხვევაში შუამავლობას: მიიღებს შემოწირულს ფულს დანიშნულებისამებრ გადასაცემად და თავისს დროზედ გამოაცხადებს ხოლმე შემომწირველთა სიას და შემოწირულის რაოდენობას.

ჭიათურის შავი-ქვა და სინდიკატი.

I

ჭიათურაში შავის-ქვის წარმოებისათვის ახალ სინდიკატის დაარსებამ ყველა აალაპარაკა. ბერლინის კაპიტალისტები აქაურს მწარმოებლებს შეეკვრნენ პირობით, რომ წლიურად 20 მილიონი შავი-ქვა გაიტანონ გასასყიდად ჭიათურიდგან. ყველას იმედი აქვს, რომ ამით მოეღება ბოლო იმ კრიზისს, რომელიც აგერ რამდენიმე ხანია დაუდგა შავის-ქვის წარმოებას ჭიათურაში და რომელმაც დაამჩნია თავისი გავლენა მთელ დასავლეთ კავკასიის ცხოვრებას.

აქ არ გამოვუდგებით იმის გარკვევას, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს იმედები, გვინდა მხოლოდ განვიხილოთ მოკლედ ის წყობილება, რომელიც დამყარებულია ჭიათურის შავის-ქვის წარმოებაში და რომლის მოსპობა აუცილებელი გვგონია იმისთვის, რომ შავის-ქვის საქმე ერთხელ და სამუდამოდ გასწორდეს და ამასთანავე გამოვარკვიოთ ამ სინდიკატის სასურველი მიმართულება.

ადამიანი თუ გაჭირვებაში ჩავარდა, ამისი მიზეზი ყოველთვის სხვა ვინმე ჰგონია. ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებლებმაც თუ ვერ მოახერხეს თავიანთ საქმის რიგიანად მოწყობა, ერთმანეთში ქიშპობით და პირის უქონლობით თუ ჩაუგდეს თავი ფულის უფრო მოხერხებულ პატრონებს და ექსპორტერებსაქაც დამნაშავე და პასუხის მგებელი ექსპორტერები ჰგონიათ და მათი გაიძვერობა.

უცნაურად არის მოწყობილი შავი-ქვის საქმე ჭიათურაში! იქ, სადაც მაღნებში აუარებელი შავი-ქვა მზადდება, სადაც მწარმოებელი თვითონ ადგია შრომას და ეზიდება დამუშავებულ ქვას ჭიათურისკენ,—ამ საქმის მოგება მაინც სხვას რჩება და მწარმოებელი კი,—სხვის ხელში მაწველ ფურად გამხდარი, საქმის გამოკეთებასაც ვეღარ ახერხებს და მხოლოდ უჩივის ექსპორტერების გაძლიერებას ჭიათურაში...

ნუ ავყვებით ამ საერთო შეხედულებას და პირუთვნელად განვიხილოთ შავის-ქვის საქმეში არსებულ წყობილების ავი და კარგი.

ჭიათურის შავის-ქვის წარმოებაში ჰმოქმედებს თვით მწარმოებელი, შავის-ქვის ადგილობრივი მოვაჭრე და ექსპორტერი.

მწარმოებელი ის არის, ვინც საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაში მუშაობს, ქვას იღებს და ეზიდება ჭიათურისაკენ, სადაც ჩამოტანილ ქვას სხვას ჰყიდის ან აწყობს საკუთარ საწყობზედ.

შავის-ქვის ადგილობრივ მოვაჭრეს ვეძახით იმას, ვინც თავის საწყობზედ ჰყიდულობს ქვას მწარმოებლებისაგან და მესამე საწყობზედ დაგროვილ ქვას აძლევს ექსპორტერს, ადგილობრივ ჰყიდის ქვას,—ვისაც თვითონ არ გააქვს სხვებისაგან ნაყიდი ქვა ჭიათურიდგან.

ექსპორტერს-კი, რომელიც ამ ადგილობრივ მოვაჭრესავით სხვებისაგან ჰყიდულობს შავ-ქვას თავის საწყობზედ, და რომელსაც თვითონ გააქვს ქვა ჭიათურიდგან რუსეთში ან საზღვარ გარედ გასაყიდად.

მწარმოებელმა შეიძლება სხვებისაგან იყიდოს ქვა, შეიძლება შემთხვევით გაიტანოს კიდეც ქვა ჭიათურიდგან, მაგრამ ამით მაინც არ ირღვევა ზემორე აღნიშნულ სამის ტიპის არსებობა შავის ქვის მომქმედთა ჭიათურაში.

ჭიათურის მწარმოებელი ყოველ მხრივ არის შევიწროებული,—„ავანსები“ და „სკიდკა“ ძირსუთხრის მისს კეთილდღეობას და თითქმის შეუძლებლად ჰხდის შავი ქვის წარმოების რიგიანად მოწყობას. მიწის პატრონი, მუშა და ჩალვადარი, ყველა წინდაწინ ართმევენ ფულს; როდესაც ქვის დიდი ზიდვაა ჭიათურაში,—მწარმოებელიც იძულებულია არ დაუჭიროს მათ ფული, თუ უნდა რომ მიწის პატრონმა არ შეუშალოს პირობა, მუშა დაადგეს საქმეს და ჩალვადარმა ჩამოუტანოს ქვა ჭიათურაში. რაც უფრო მეტი ქვის ზიდვა არის აქ, მით უფრო მეტი ფული უნდა გასცეს ასე წინდაწინ მწარმოებელმა,—და როდესაც კრიზისი დადგება და ქვის მუშაობა შემცირდება ჭიათურაში,—მუშა და ჩალვადარი მიდის აქედგან და მწარმოებელს ეკარგება მათზედ გაცემული „ავანსი“. მიწის პატრონიც ერთხელვე აღებულს ფულს აღარ უბრუნებს მოიჯარადრეს.

დაუჯერებელი, მაგრამ მართალი-კი არის, რომ ჭიათურაში, სადაც აგერ რამდენი ხანია შავი-ქვის წარმოება არსებობს, ყველა სჩივის ამ უწესოებას, მაგრამ არსებულ წესის გამოცვლა-კი ვერავის ვერ მოუხერხებია. დღიდის მუშა მაღნებში ნარდად მუშაობს, ჩალვადარი ნარდად იღებს ქვის ჩამოტანას ჭიათურაში.

ჭიათურაში საკუთარი საწყობი თუ არა აქვს მწარმოებელს, ჩამოტანილი შავი-ქვა სხვას უნდა მიჰყიდოს. წინ და წინვე. ფასში მორიგება იშვიათია და არც არის საჭირო: კვირაში ერთხელ, შაბათობით, აცხადებენ შემდეგ კვირისთვის შავის-ქვის მაზანდას მყიდველები და მერმე ამ მაზანდაზედ იღებენ ქვას ყველასაგან, ვინც მიუტანს ქვას საწყობზედ. აქ, ამ საწყობზედ, მწარმოებელს უნდა აუწონოს მყიდველმა მისი ქვა...

ჭიათურაში მიღებულია, რომ აწონილ ქვას ყოველთვის რამდენიმე ფუთი უნდა დააკლონ. ცხენმა მაგ. თორმეტი ფუთი თუ ჩამოიტანა, მყიდველის ჭწონელი ამ თორმეტ ფუთის მაგიერ სწერს თავისს დავთარში ათ ფუთს ან კიდევ ნაკლებსაც. ამას ეძახიან აქ „სკიდკას“.

ამნაირად ჩამოტანილ ქვას წონა-დაკლებით იღებს მყიდველი და მხოლოდ ამ დაკლებულ წონაში აძლევს ფულს შავის-ქვის პატრონს. ქვის მყიდველმა 100,000 ფუთი თუ იყიდა მწარმოებლისაგან, საწყობზედ ნამდვილად კიდევ ზედ მეტი წონა უწყვია და ხშირად მხოლოდ ამ ზედ მეტ წონის იმედით იწყებს ზოგიერთი შავის ქვის ყიდვას.

შავი-ქვის ადგილობრივი მოვაჭრე მწარმოებლებისაგან ჩამოტანილ ქვას თუ ჰყიდულობს თავისს საწყობზედ, ან უნდა ფასების აწევას მოუცადოს და მეტ ფასში გაჰყიდოს მიღებული ქვა, ან ჰფიქრობს წონაში მოიგოს, რაკი ქვა უყიდია წონა-დაკლებით,—და, საუბედუროდ, სწორედ ამ მეორე ნაირი შავისქვის მყიდველი უფრო ხშირი სანახავია ჭიათურაში.

კიდევ კარგი, თუ წონის დაკლება დაუფარავად ხდება; თორმეტ ფუთში თუ ათ ფუთს სწერს მყიდველი, ფუთში მაგ. თუ 7 კაპ. იხდის, მწარმოებელმა იცის, რომ ნამდვილად ფუთში მოუვიდა 5,8 კ. და ამნაირ თავდარიგს დაიჭერს. მაგრამ მყიდველი ყოველთვის სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი წონა დაუკლოს ქვის პატრონს, გადაწყვეტილ „სკიდკას“ აღარ სჯერდება და 30, 35 და 40%-ს უკლებს წონაში; კრიზისის დროს, როდესაც ქვის მყიდველი ცოტაა, ჭიათურაში ჩამოტანილ ქვის წონას ხშირად ანახევრებს მწონელი.

მწარმოებელი ამას თუ ითმენს, ეს მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი,—სადაც უნდა წავიდეს,—ყველგან ასე მოექცევიან,—და ამასთანავე იმითიც, რომ ალბად იმედი აქვს,—მოურიგდეს მყიდველის მწონელს, ან სხვა რამ ეშმაკობა იხმაროს და ხან და ხან მეტი წონაც დააწერინოს. ხშირად მოხდება, რომ ქვის მყიდველი ჰფიქრობს საწყობზედ 30-35% ზედ მეტი წონა უნდა დარჩესო, მაგრამ საწყობს რომ ასწმენდს, თავნზედაც ვეღარ გამოდის. სად იკარგება წონა, ვის რჩება ამ ურთი-ერთის მოტყუებაში საბოლოოდ მოგება,—არავინ იცის; ის-კი ცხადია, რომ ამის გამო შეუძლებელია ადამიანისათვის საქმის რიგიანი მოწყობა და რომ პატიოსანი მწარმოებელი ყოველთვის წამებული რჩება და მოტყუებული.

ამნაირად შავის-ქვის გაკეთების და გაყიდვის საქმე იმნაირად არის აქ მოწყობილი, რომ ადამიანს არ შეუძლიან მისცეს თავისს თავს სრული ანგარიში იმისი, თუ რა უჯდება ქვის დამუშავება, ან ჩამოტანა ჭიათურაში და რა მოგება უნდა მოჰყვეს მისს წარმოებას. ეს მოგება დამოკიდებულია იმაზედ, გაექცევა თუ არა მუშა და ჩალვადარი, რომლებზედაც მწარმოებელს წინდაწინვე აქვს გაცემული ფული, და იმაზედ, თუ ვინ გამოდგება უფრო მარჯვე წონაში,—მყიდველი თუ მწარმოებელი...

იმას აღარ ვახსენებთ, რომ ექსპორტერებს და მათთან შეთანხმებულ შავის-ქვის ადგილობრივ მოვაჭრეებს ხშირად განგებ დაუწევიათ ჭიათურაში შავი ქვის ფასი, როდესაც ფასები მსოფლიო ბაზარზედ რიგიანი ყოფილა. მწარმოებელი იძულებული ხდებოდა ამ ნაკლებ ფასად გაეყიდნა შავი ქვა, რადგან თვითონ არ შესძლებია მისი გატანა საზღვარ გარედ.

მწარმოებლების ამნაირ მდგომარეობას შველა სჭირია და, ზოგიერთების აზრით, ამას უნდა ემსახურებოდეს ის სინდიკატი, რომელიც ახლა დაარსდა ჭიათურაში.

ქ. თუმანიშვილი.

ახალი ამბავი

მიწის ძვრის ამბები

შემახაში.

კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას შემდეგი ტელეგრამა მოუვიდა ბაქოს ვიცე-გუბერნატორისაგან შემახაში მიწის ძვრის თაობაზე:

„შემახაში არ დარჩენილა არც ერთი სახლი, რომ არ დაზიანებულიყოს, თითქმის ყველა დაქცეულია საძირკვლამდე, მათ შორის მართლმადიდებელთა ეკკლესია, ხაზინა, პოლიციის შტაბ-კვარტირა და საპყრობილე ძლიერ დაზიანებულია. ყველა მცხოვრებლები ქალაქისა ქუჩებში არიან; მიწის ძვრა ჯერაც არ შეწყვეტილა, რაც ხელს უშლის ნანგრევებში დაღუპულთა ძებნას. დღეს ამოიღეს ნანგრევებიდგან ორას გვამზე მეტი. საფიქრებელია, რომ ნანგრევებში კიდევ იქნება რამდენიმე ასი დაღუპული. დაღუპულთ უმრავლესობა ქალებია, რომელნიც მიწის ძვრის დროს აბანოებში იყვნენ. ჯამესთან მყოფ მაჰმადიანთა სკოლაში, რომელიც რვაას წელიწადზე მეტია რაც არსებობს, და ახლა-კი დაინგრა, დაიღუპა თორმეტი მოწაფე მასწავლებლითურთ. რუსთა სკოლების მოწაფეებს არასფერი დაჰშავებიათ. საპყრობილეში მყოფნი პატიმარნი, ორას ორმოც და ათ კაცამდე, ეზოში არიან მოთავსებულნი. აუცილებლად საჭიროა ახლავე რაც შეიძლება უხვი ნივთიერი დახმარება, რომ სარჩო მიეცეს ექვსი ათასზე მეტს კაცს.

⁂ მთავარ-მართებლის ნებართვით გაზეთ „კავკაზის“ კანტორაში მიიღება შეწირულება შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის.

⁂ მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასულმა ოლდენბურგისამ შესწირა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის 1,000 მანეთი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გ. ს. გოლიცინმა, მის განკარგულებაში მყოფ თანხიდგან, გაუგზავნა ბაქოს გუბერნატორს შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის 3,000 მან. („კავკ.“)

⁂ „არგონავტს“ სწერენ შემახიდგან ორ თებერვლის თარიღით: „იანვრის 31-დგან მიწის ძვრა არ შეჩერებულა. თითქმის მთელი ქალაქია დანგრეული, არ დარჩენილა არც ერთი სახლი, რომელშიაც დგომა შეიძლებოდეს. ყველა მცხოვრებლები ქალაქს გარეთ მინდვრებზე დგანან. ადგილობრივი ჯარები ბანაკად გაიყვანეს დაზარალებულთა შორის რამდენიმე ჯარის-კაციც არის მსუბუქად დაშავებული. დაშავდნენ აგრეთვე გარნიზონის აფიცრებიც. ნანგრევებში დაღუპულთ უმთავრესად ჯარისკაცები ეძებენ, მაგრამ საქმეს ვერ ასდიან. ადგილობრივი მთავრობა ტელეგრაფით თხოულობს შემახაში ჯარების გაგზავნას. დიდი სიცივეები და ქარიშხალი აორკეცებს შემახელების უბედურებას. არც სასმელ-საჭმელი

სამყოფი, მეტადრე პური. სახლების ნანგრევებ ქვეშ დამარხულია 1000 კაცამდე, დაშავებულნი და დაჭრილნი ერთობ ბევრია. არ არიან არც ექიმები, არც საავადმყოფოები, რომ ხალხს საექიმო შემწეობა აღმოუჩინონ. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს რა მოელის ხალხს, თუ დაუყოვნებლივ შემწეობა არ აღმოუჩინეს.

ბაქოსა და მისს მიდამოებში:

⁂ იანვრის 31-ს, შუა-დღის 12 საათსა და 58 წ. ბაქოსა და მისს მიდამოებში მიწის ძვრა იყო. სახლებში, მეტადრე ზემო სართულებში, მცხოვრებლები შეშინდნენ, ლამპები და ავეჯი დაინძრნენ. ვინც მიწის ძვრა იგრძნო, თავბრუ დაესხა. ხალხი გამოცვივდა ქუჩებში, სადაც მიწის ძვრა ისე საგრძნობი არ იყო. მიწა ინძრა ბალახანაში და ზაბრათშიაც. ზაბრათში მიწის ძვრა ორი წამი გაგრძელდა. მიწის ძვრის დროს ბაქოში ციხის დიდს ქუჩაზე გასკდა ძმ. მირზოევების სახლი. საქალებო გიმნაზიაში მიწის ძვრამ თავზარი დასცა ყველას, მოწაფეებს ისტერია მოუვიდათ; ყველანი თავ-თავიანთ სახლში დაითხოვეს. ქვემო სართულში მიწის ძვრას უფრო სუსტად გრძნობდნენ, ვიდრე ზემოდ. მიხეილის საავადმყოფოდგან მძიმე ავადმყოფნი გარედ გამოიყვანეს.—ბიბი-ეიბათში მიწის ძვრა ერთს წამს გაგრძელდა, იქვე ზღვაში მყოფი მხუნები შეირყნენ. ძლიერად ინძრა მიწა აგრეთვე ყიშლასა, თეთრსა და შავს ქალაქებში. საღამოს 7 საათსა და 46 წამს ხელმეორედ ინძრა მიწა.

⁂ ტფილისიდგან გუშინ გაგზავნეს შემახაში მეორე მსროლელთა ბატალიონი მიწის ძვრისაგან ნანგრევებში დაღუპულთა მოსაძებნად.

—

⁂ სათავად-აზნაურო ბანკში თხოვნა შეუტანიათ გურჯაანისა და მის ახლო-მახლო სოფლების 15-ამდე მემამულეს, რომ სეტყვასთან საბრძოლი მორტირები გამოიწერონ. მემამულენი თხოულობენ გამოწერის დაჩქარებას, რომ როგორმე წრეულვე მოასწრონ მორტირების დადგმა.

იმერეთის ამბები:

—

⁂ შავის-ზღვის პირად რკინის გზის ერთი ნაწილის—ეკატერინოდარიდგან სოხუმამდე გაკეთება, როგორც ხმა ისმის, მიენდობა კავკავის რკინის გზის საზოგადოებას.

⁂ „ცნ. ფურც.“ „წინანდელ № ის სურათებიანი დამატება, რომელშიაც დახატული იყო უჯერო კარიკატურა ბათომის ქალაქის ახლანდელ თავის მეორედ არჩევის გამო, ძლიერ მოსწონებია „Черноморск. Вѣстникъ“-ს. „Довольно зло иронизируя надъ упорствомъ, достойнымъ лучшей участи, карикатура „Цнобисъ-Пурцели“ произвела фуроръ, въ особенности развалившаяся пацха, привезенная изъ Поти...“ ე. ი. „საკმაო სიბოროტით დასცინის „ცნ. ფურცელი“ უკეთესის ხვედრის ღირსს ბათომის საბჭოს ხმოსნების ჯიჯინობას; მისმა კარიკატურამ, მეტადრე ფოთიდგან მოტანილმა დანგრეულმა ფაცხამ, გამოიწვია ნამდვილი აღტაცება...

ამასაც მოესწრო „ცნობის ფურცელი“, რომ „Черноморскій Вѣстникъ“-ს თავი მოაწონა!..

შეცდომის გასწორება:

„ივერია“-ს № 27 „ახალ ამბავში“ დაბეჭდილია: „ვიქტორ ჰუგოს გარდაცვალების.“—უნდა იყოს: „ვიქტორ ჰუგოს დაბადების“...

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ.ბ-ნს ნესტორ ივანეს ძე და ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს მიქაბერიძეებს. პირველმა მათგანმა დიდი შრომა დასდო უემისთვის ეკალდესიის სამრევლო სკოლის გახსნას, მეორემ-კი თავის ხარჯით გამოუწერა ახალ სკოლას გაზეთები „ივერია“ და „ცნობის-ფურცელი“.

ტრიფონ მიქაბერიძე.

ქ. ქუთაისი
31 იანვარი

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით ჩემი უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველა იმათ, ვინც სამძიმარი გამომიცხადა, დეპეშით თუ სიტყვიერად და ან ვინც პატივი მცა და დაესწრო გარდაცვალებულის დედა-ჩემის ნინო იაგორის ასულის დასაფლავებას.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი.

2-ს თებერვალს 1902.
ქ. თბილისი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. „31 იანვარს, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტაციას ბედნიერება ჰქონდა წარსდგომოდა მათ უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და დედოფალ იმპერატრიცას. დღეს „მთავრობის უწყება“-ში გამოქვეყნებულია თავად-აზნაურთა უერთგულესი ადრესი და უმაღლესი სიტყვები, ხელმწიფე იმპერატორის მიერ დეპუტაციის მიმართ ნათქვამი.

„იმპერატრიცა და მე დიდად მოხარულნი ვართ, რომ გხედავთ აქ და კვლავ ვისმენთ თქვენგან ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობის გამოცხადებას, რის ეჭვიც არასოდეს არა მქონია. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მადლობა ქართველ თავად-აზნაურობას გამოთქმულ გრძნობათათვის. იმედი მაქვს, მე და იმპერატრიცა მალე მოვალთ ჩვენთვის ძვირფასს კავკასიაში“.

მათ უდიდებულესობათ კეთილ-ინებეს და დეპუტაციის ზოგიერთ წევრებს უმოწყალესად გამოელაპარაკნენ. ამ დღეს მათის უდიდებულესობის მიერ დეპუტაცია მიწვეულ იქმნა საზამთრო სასახლეში, ერმიტაჟში გამართულ წარმოდგენაზედ. გუშინ, პირველ თებერვალს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავადს მელიქიშვილს ბედნიერება ჰქონდა წარსდგომოდა მისს უდიდებულესობას დედოფალ იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს“.

—

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

თებერვლის 1.

პეტერბურგი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა თანადასწრებით ერმიტაჟში წარმოადგინეს გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“. წარმოდგენის შემდეგ ერმიტაჟის დარბაზებში გაიმართა ვახშამი.

განჯა. მიწის ძვრა სუსტად განმეორდა საღამოს 7 საათსა და 30 წამზე.

ირბიტი. ქალაქის თავი ტეკუტიევი თავისს ხარჯით აშენებს ტიუმენში ქალაქის საავადმყოფოს 40 საწოლით. შენობა ჯდება 30,000 მანეთი. ძველი შენობა უვარგისია.

ჩერეპოვეცი. საბჭოს გუშინდელ სხდომაზე კვლავ აირჩიეს მიმდინარე ოთხის წლისათვის ქალაქის თავად ცნობილი მოღვაწე ჩრდილოეთის რუსეთისა მილიუტინი, რომელიც ორმოცი წელიწადია რაც ქალაქის თავად არის.

კალუგა. ხალხის სიფხიზლის სამაზრო კომიტეტს ხაზინა შეეწია 40,000 მან. განზრახული აქვთ იქონიონ გუბერნიაში 15 ქალაქის და 100 სასოფლო საჩაიე სამკითხველოებითურთ.

პოლტავა. ხალხის სიფხიზლის სამაზრო კომიტეტს ქალაქის საბჭომ მისცა ხალხის საზაფხულო გასართობისათვის შენობის ასაგებად ადგილი.

ვარშავა. ხმა დადის, ვითომც ვარშავა-კალიშის რკინის გზის გაყვანის გამო გერმანიაში აზრადა აქვთ ახალი რკინის გზა გაიყვანონ ვარშავასა და ლეიპციგს შუა გზის შესამოკლებლად.

ვენა. ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი დღეს დილით ადრე მოვიდა პეტერბურგიდგან.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრანბორნმა სთქვა, ინგლისის მმართებლობას ჰსურს დაიცვას პოლიტიკა ღია კარებისა და ჩინეთის ხელ-შეუხებლობა. რუსეთმა აღიარა 1898 წელს იაპონიის განსაკუთრებული მდგომარეობა კორეაში.

ახალის ხელშეკრულობის გამო ბალფურმა სთქვა, ეს ხელშეკრულობა გარანტია არის აღმოსავლეთში ავანტიურისტულის პოლიტიკის წინააღმდეგობისათვისაო, მხოლოდ მმართებლობას ამ შემთხვევაში არავითარი ეჭვი არა აქვს რუსეთზეო. ლორდთა პალატაში ლანსდოუნი ამტკიცებდა, რომ ამ ხელშეკრულობაში არ არის არაფერი ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს ინგლისის პოლიტიკას. ინგლისს ჰსურს მხარი მისცეს იაპონიას კოალიციის წინააღმდეგ. იაპონიას შეეძლება თავის დაცვა, რომ ერთს სახელმწიფოსთან მოუხდებოდეს ომი, ხოლო კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლა-კი მისთვის ერთობ საშიშო იქნებოდა და ინგლისს ამიტომაც უნდა დაეხმაროს იაპონიას. როზბერიმ მიულოცა ლანსდოუნს იაპონიასთან ხელშეკრულობის დადება.

პარიჟი. „დიპლომატიური კორესპონდენცია“ ამბობს: დიპლომატიური წრეები ამ ახალს ხელშეკრულობას სთვლიან ჩინეთისა და კორეის შეუხებლობის გარანტიად, რადგანაც ამ ხელშეკრულობის მოქმედება იწყება მხოლოდ მაშინ, როცა ახლანდელს წყობილებას შორეულს აღმოსავლეთში სახელმწიფოთა კოალიცია დაემუქრება. ახალს ხელშეკრულობას არ შეაქვს არავითარი ცვლილება აზიაში გადასაწყვეტ საგნებში, მით უფრო ევროპისაში, იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მხოლოდ გამოყენებას 1897 წელს რუსეთსა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულობისას. რაც შეეხება რუსეთის არსებითს ინტერესებს წყნარს ოკეანეზე, ახალი შეჯგუფება სახელმწიფოებისა დიდს ცვლილებას ვერ მოახდენს. ისიც უნდა ითქვას რომ რუსეთსა და იაპონიის შუა ისეთი განწყობილებაა, რომ უკეთესის ნატვრა საჭირო არ არის.

2 თებერვალი.

პეტერბურგი. გამოვიდა სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიმართ შესახებ გოგოლისა და ჟუკოვსკის ხსოვნის პატივისცემისა სასწავლებლებში.

იანვრის 31 ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან არჩეული დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორის წინაშე უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოსაცხადებლად საქართველოს რუსეთთან ასის წლის შეერთების იუბილეს გამო, წარდგენილ იქმნა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათთან საზამთრო სასახლეში. ნაშუადღევის 3 საათზე ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული გამობრძანდნენ დეპუტაციასთან. წარდგენის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა წაიკითხა ადრესი. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა ადრესი და გააბედნიერა დეპუტაცია შემდეგი სიტყვებით. „იმპერატრიცა და მე მოხარულნი ვართ, რომ გხედავთ აქ და კვლავ ვისმენთ თქვენგან ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობის გამოცხადებას, რის ეჭვიც მე არასოდეს არა მქონია. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მადლობა ქართველთ თავად-აზნაურობას გამოთქმულ გრძნობათათვის. იმედი მაქვს მე და იმპერატრიცა მალე მოვალთ ჩვენთვის ძვირფასს კავკასიაში“.

ნიუ-იორკი. აქაურს ჟურნალ-გაზეთობას დიდი ლაპარაკი აქვს ელჩის პაუნსეფოტის საქციელის შესახებ ამ ისპანია-ამერიკის დაწყების ომის წინად.

ოდესსა. უნივერსიტეტში გოგოლის ხსოვნის პატივისცემის პროგრამმა შეიმუშავა პროფესსორების კომისიამ. გოგოლის გარდაცვალების 50 წლის თავზე უნივერსიტეტის ეკკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი და გამოიცემა სტუდენტებისაგან კრებული.

პოლტავა. განზრახვა აქვთ ეპარქიის ყველა სკოლებში გოგოლის გარდაცვალების დღის სახსოვრად გამართონ საკითხავნი და დაურიგონ მოწაფეებს გოგოლის ნაწარმოებნი, რისთვისაც გადადებულია 400 მანეთი.

პეტრბურგი. კანონდებულების კრებულში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება მინისტრთა კომიტეტისა პეტერბურგის ქალაქის 4½% საობლიგაციო სესხის ნებართვის შესახებ.

ბაქო. შემახიდგან იუწყებიან, რომ მიწის ძვრამ სრულიად დაანგრია ქალაქი, დარჩა მხოლოდ ათიოდე სახლი ცოტად დაზიანებული. დაღუპულ კაცთა რიცხვი ძალიან დიდია. დაინგრა საყდარი, მეჩეთები, ყაზარმები, ხაზინა, დაზიანებულია სატუსაღო, სამაზრო მართველობა—25,000 მცხოვრები დარჩა უსახლოდ და უსაზრდოოდ. ბაქოში თალიევის თაოსნობით შესდგა კერძო კომიტეტი შემოწირულების მოსაკრებად. ჰყიდულობენ შემახაში გასაგზავნად პურსა. ალაჩუღებსა, ბრეზენტებსა, საბნებს, თბილს ტანისამოსსა და ჰკილოობის შესახვევს მასალას. საჭიროა უხვი ნივთიერი შემწეობა.

მოსკოვი. ბიბლიოგრაფიულს საზოგადოებაში წარადგინეს შემდეგი შემუშავებული წესი რუსეთის ჟურნალ-გაზეთების 200 წლის არსებობის დღესასწაულისა: პირველი რუსული გაზეთის გამოსვლის სახსოვრად, მოსკოვში 1903 წ. 1 იანვარს, ახლანდელი რუსული პერიოდული გამოცემათა წარმომადგენელთ მონაწილეობით აპირებენ დიდის ამბით იდღესასწაულონ რუსული პრესსის 200 წლის იუბილე.

ტიუმენი. ქალაქის წარმომადგენლებმა გაუგზავნეს ფინანსთა მინისტრს მოხსენება, რომ აუცილებლად საჭიროა რკინის გზის გაყვანა ტიუმენ—იალუტოროვსკ—იშიმ-ტიუკალინსკ-ომსკს შუა. ტიუმენელთა თხოვნას მხარი დაუჭირეს ეკატერინბურგის, იალუტოროვსკის, იშიმის, ტარის, ტიუკალინსკის, ომსკის და ტომსკის შუა.

ასხაბადი. გემთა საზოგადოებამ „კავკასმა და მერკურიმ“ დაარსა კანტორები მეშჰედსა და თეირანში.

კავკავი. სამადნო ქიმიურმა საზოგადოებამ „ალაგირმა“ შესწყვიტა მუშაობა და დაითხოვა მუშები.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში მარკაში 100	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულ. ბანკისა.	94½ გაყიდ.
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379½ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	9,800 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. 9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს.) 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბუნია	10 „
ბუნების სიტყვარი მოყვარენი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
აგსართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
ამონებული, თარ. თ. სახოკიასი	1 მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвли	40 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბისა	15 „
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II არ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ღლონტისა	5 „

მკურნალი

ნ. ფ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Парфюмерія
Рояль
РАЛЛЕ.

ყოვლად საყურადღებო განცხადება

ახლად გაღებულ მ. ა. ქანდაროვისაგან მექანიკურ-ორთქლით პურის-საცხობში (რომელიც იმყოფება მე-10 ნაწ., ელისაბედის და ბატარეის ქუჩების კუთხეში) შეიძლება დაუვეთა **კარგად გამომცხვარ** ყოველგვარ ღირსების პურისა, მხოლოდ არა ნაკლებ ნახევარ ფუთისა, **ფასად ქალაქის ნიხრზედ ერთ აბაზ ნაკლებ ფუთი:** პირველ ხარისხისა 1 მან. და 40 კაპ.; მეორე—1 მან. 20 კაპ.; მესამე—1 მან.; პეკლევანისა (ანუ ყუათიანი) და არჟანოვისა—90 კაპ.

(5—272—2)

ქართულის წერის რვეულები

ახლად დაიბეჭდა მშვენიერს ქაღალდზე და ისყიდება «წერა-კითხვის საზოგადოების» მაღაზიაში ყველა ნომრის ქართული წერის რვეულები; მეორე, მესამე და მეოთხე ნომერი—ოთხ თაბახიანები—გამოსადეგია რუსულის წერისათვისაც. ფასი თითო რვეულისა ოთხი კაპეიკი. ხოლო ვინც ასობით იყიდის, რვეული დაეთმობა 3 ნახევრად.

(3—6.—2)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 3-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე